ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-19/01172992280-17

"15" 01 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ისანი, გასასვლელი ექიმის №1-ში (საკ. კოდი №01.17.12.023.035) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3636291 25.10.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი ისანი, გასასვლელი ექიმის №1-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე დამატებულია სატელიტური ანტენები.
"ა-კ" ფასადზე ავტოფარეხში ჩასასვლელი კარი, ასევე პანდუსზე მოწყობილი ლითონის მოაჯირი და სვეტები შესაღებია. "თ" ღერძთან დამატებულია კონდიციონერი და გამწოვი. +4.96 ნიშნულის ქვევით "დ-ე" მონაკვეთში ფრამუგის გარშემო კედელი შესაღებია.
"1-13" ფასადზე "1-2" მონაკვეთში, ხოლო "კ-ა" ფასადზე "გ-ა" მონაკვეთში +37.96 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატები, ერთ ღიობში არ არის მოწყობილი ვიტრაჟი და ნაწილობრივ ვიტრაჟების სიმაღლე შემცირებულია. ამავე მონაკვეთებში +43.16 ნიშნულზე გუმბათზე მდებარე ღიობებში არ არის მოწყობილი ვიტრაჟები.
ტერიტორიაზე მოწყობილი პანდუსების გაბარიტები (გარდა საავტომობილო პანდუსისა), შემცირებულია, მათი დახრა აღემატება დასაშვებ ნორმებს, გაუქმებულია მოაჯირი, ხოლო პანდუსების ნაწილი მოსაპირკეთებელია.
პროექტის ხარვეზი: "10-12" მონაკვეთში მდებარე ანტრესოლზე ასასვლელი კიბე არ არის ასახული გეგმაზე.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. "ბანი ლუქსი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი ისანი, გასასვლელი ექიმის №1-ში (საკ. კოდი №01.17.12.023.035) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01172992280-17 26.10.2017წ. განცხადება.
№წ-19/01172992280-17 27.10.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე — გეორგი გეჯაძე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: 17-01183123562
თარიღი: 08/11/2018
პინი: 7328

ადრესატი: დავით მახარაშვილი
პირადი ნომერი: 01007015782
მისამართი: თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 48 ბ. 90

გადაამონმეთ: document.municipal.gov.ge

თქვენი N19/01182921630-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, სექტორი (ისანი, ბაღდადის ქუჩაზე (ს/კ N01.17.12.023.035) მდებარე ობიექტის მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი) შენობა) გადამონმებით დადგინდა, რომ „ა-კ" ფასადზე შეღებილია ავტოფარეხში ჩასასვლელი კარი; „1-13" ფასადზე ღიობში მოწყობილია ვიტრაჟი; +43.16 ნიშნულზე გუმბათზე მდებარე ღიობში მოწყობილია ვიტრაჟები. ასევე გაცნობებთ, რომ ფასადებზე დამატებულია კონდინციონერები.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმონერა/ ელექტრონული შტამპი

...ბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 237 81 39